



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დოლიძე ლევან გიორგის ძე

დოლიძე ლევან გიორგის ძე (დ. 30. XI. 1939, თბილისი), სამხედრო ჟურნალისტი და მკვლევარი, საქართვე. დამს. ჟურნალისტი (1989). დაამთავრა თსუ-ის ჟურნალისტიკის ფაკულტი (1968). მისი მასალები 1959-იდან იბეჭდებოდა სსრკ ცენტრ., რესპუბლიკურ და უცხოეთის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებში; რეპორტაჟები გადაიცემოდა ტელევიზიით და რადიოთი. აფხაზეთში კონფლიქტის დაწყებისთანავე დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის პირად წარმომადგენლად ინფორმაციის დარგში. ერთ-ერთმა პირველმა გააშუქა მოვლენები აფხ. ცხელი წერტილებიდან. ავტორია 5000-ზე მეტი სტატიის, ბუკლეტების, წიგნების – „მხედართუფროსები საქართველოდან“ (1986), «Генералами не рождаются» (1993), «Рядом и на всю жизнь» (1997), „70 წელი სცენაზე“ (1999), „გენერალი სიმუსი, მარშლები, გენერლები, ადმირალები – ჩვენი თანამემამულენი“ (2000). 2003 გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „გენერლები საქართველოდან“, რ-იც მოიცავს საქართვე. გენერალიტეტის 300-წლოვან პერიოდს და ასახავს 1000-ზე მეტ გენერლის ბიოგრაფიას. 1975 მიენიჭა საქართვე. ჟურნალისტთა კავშირის პრემია. საქართვე. დამოუკიდებლობის წლებში მუშაობდა თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსად, საქართვე. სახელმწიფო საბჭოს თავ-რის სახელმწიფო მრჩეველად. 1993-იდან არის ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახ. მთავარი სამეცნ. რედაქციის სამხ. სექციის თავ-რე. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (2000).
